ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №5-12

ერთის მხრივ სსიპ ქალაქ ქუთაისის №12 საჯარო სკოლა (შემდგომში „შემსყიდველი"), მისამართი: ქუთაისი, ავ. წერეთლის ქ. №129 საიდენტიფიკაციო კოდი 212706071 და მეორეს მხრივ შ.პ.ს „დალენი-სტუდია" (შემდგომში „მიმწოდებელი"), ქთბილისი ვაჟა- ფშაველას 83ა. VII სართული ბინა 18. საიდენტიფიკაციო კოდი N 205060725 საბანკო რეკვიზიტები: ანგარიშის N GE32 TB 0600000033467310 სს „თიბისი ბანკის" ცენტრალური ფილიალი, ბანკის კოდი TBCBGE 22 მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის დარეჯან კვარაცხელიას სახით, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შემდეგზე:

1. **ხელშეკრულების საგანი:**

უნიკალური ხელნაწერი წიგნი-ალბომი „წერილები პატრიარქს", ჩანთა და DVD დისკი „გალობანი და ქადაგებანი" შესყიდვა.

2. **ხელშეკრულების ობიექტის დასახელება, ტექნიკური პარამეტრები, ძირითადი მახასიათებლები და საიდენტიფიკაციო მონაცემები, რაოდენობა, ერთეულის ან მთლიანი ღირებულება:**

წიგნი-ალბომი „წერილები პატრიარქს". ჩანთა. DVD დისკი „გალობანი და ქადაგებანი" კომპლექტის შეძენა. (ერთი კომპლექტის ღირებულება 85 ლარი). №5-12 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება 85 ლარი

**3. შესასყიდი საქონლის, სამუშაოს, მომსახურების ხარისხი საჭიროების შემთხვევაში სტანდარტებთან შესაბამისობა:**

სტანდარტებთან შესაბამისობით.

**4.საქონლის მიწოდების, სამუშაოს შესრულების, მომსახურების გაწევის ეტაპობრივი ვადები და ადგილი:**

**5. საქონლის, სამუშაოების, მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი:**

წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადებისა და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

**6.ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი:**

უნაღდო ანგარიშსწორებით.

**7. ხელშეკრულების შესრულების გარანტია:**

ეს მექანიზმი ამ შემთხვევაში არ გამოიყენება

**8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი:**

პირველი მხარე ვალდებულია დროულად მოახდინოს ანგარიშსწორება, მეორე მხარე ვალდებულია დროულად მიაწოდოს საქონელი.

**9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის:**

91. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2 შემსყიდველი ორგანიზაცია წინასწარ გაუთვალისწინებელი შემთხვევისას უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება.

**10. ფორს-მაჟორული სიტუაციები:**

10.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

10.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდება სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

10.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

**11. ხელშეკრულების პირობების მათ შორის ფასების გადასინჯვის შესაძლებლობა:**

მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად შემსყიდველი ორგანიზაციისათვის იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

**12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა:**

12.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერიდან და მოქმედებს მ/წ. 15. 02 -მდე

**13. დავების გადაწყვეტის წესი**

13.1 ურთიერთშეთანხმებით ან სასამართლო წესით

**14. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები:**

14.1 შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია ინსპექტირება განახორციელოს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

14.2 ხელშეკრულების კონტროლს განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაცია, მხარეებმა გააფორმეს ხელშეკრულება საქართველოს საკონმდებლობის შესაბამისად ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

„შემსყიდველი“

სსიპ. ქ. თბილისის №12 საჯარო სკოლა

დირექტორი

ნ.

„მიმწოდებელი“

შპს „დალენი სტუდია“

დირექტორი:

დარეჯან კვარაცხელია